ექსპერტიზის დასკვნა



ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5004666315
16/09/2015

5004666315

შპს "ისეკო"-ს წარმომადგენელს გატონ გიორგი კობერიძეს

(თბილისი ქინძმარაულის ქ.,№5-7)

გატონო გიორგი,
ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2015 წლის 8 სექტემბრის რეგისტრაციის N1006590315) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N005446515 დასკვნას.
დანართი:

ექსპერტის დასკვნა 02 ფურცლად;

საპროექტო დოკუმენტაცია 01 ფუთა

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

(995 32) 225 84
(995 32) 229 05
info@forensics.g
(995 431) 21 30
info@forensics.g
(995 422) 27 94
info@forensics.g

005446515

ექსპერტის დასკვნა № 005446515

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამწიმნაცი :

ორგანიზაცია: შპს "ისეკო"

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: თბილისი ქინძმარაულის ქ.№5-7

სახელი და გვარი: გიორგი კობერიძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

ალექსანდრე კაიფანჯიანი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 7 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, განგვიზასღვროთ ქ.თბილისში, ქინძმარაულის ქ.#5/7-ში მდებარე შპს „ისეკო"-ს საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შედეგად იქნება თუ არა უარყოფითი გავლენა მის მიმდებარედ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე.

შემოსვლის თარიღი: 08.09.2015წ

გასვლის თარიღი: 16.09.2015წ

დასკვნა

შპს „მუხა-გ"-ს მიერ დამუშავებული ქ.თბილისში, ქინძმარაულის ქ.#5/7-ში მდებარე შპს „ისეკო"-ს საკუთრებაში არსებული შენობის დემონტაჟის პროექტის მიხედვით სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება არ მოახდენს უარყოფით გავლენას შენობის დარჩენილი ნაწილის ტექნიკურ მდგომარეობაზე.

ალექსანდრე კაიფანჯიანი

გამოკვლევა

ექსპერტიზაზე განხილულია შპს „მუხა-გ"-ს მიერ დამუშავებული ქ.თბილისში, ქინძმარაულის ქ.#5/7-ში მდებარე შენობის დემონტაჟის პროექტი. პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით სადემონტაჟო შენობა წარმოადგენს არსებული საწარმოს კორპუსის გარე კედელზე ორსართულიან მიშენებას, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი საძირკველი და მზიდი კონსტრუქციები. პროექტის მიხედვით დემონტაჟი ხორციელდება მიშენებული შენობის ნაწილზე. კედლების დემონტაჟი

ხორციელდება მძიმე ტექნიკის გამოუყენებლად, ვიბრაციების გარეშე. პროექტის მიხედვით, მიშენებული შენობის დემონტაჟის შემდგომ დარჩენილ ნაწილს უნარჩუნდება მზიდი კონსტრუქციები და მათზე არ ხორციელდება არანაირი სამუშაოები.

ამრიგად, შპს „მუხა-გ“-ს მიერ დამუშავებული ქ.თბილისში, ქინძმარაულის ქ.#5/7-ში მდებარე შპს „ისეკო“-ს საკუთრებაში არსებული შენობის დემონტაჟის პროექტის მიხედვით სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება არ მოახდენს უარყოფით გავლენას შენობის დარჩენილი ნაწილის ტექნიკურ მდგომარეობაზე.

ალექსანდრე კიფიანი

გამოყენებული მასალები

შპს „მუხა-გ“-ს მიერ დამუშავებული ქ.თბილისში, ქინძმარაულის ქ.#5/7-ში მდებარე შენობის დემონტაჟის პროექტი

გამოყენებული ლიტერატურა

ᲡᲜ 01.01-09 - ,,სეისმომედეგი მშენებლობა“

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

KA021732620422715

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, გ.ჭანტურიას ქ.12

12 G.Chanturia Str.,0108 Tbilisi,Georgia

N5/59041

06 / ოქტომბერი / 2015 წ.

შპს „ისეკოს“

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 18.09.2015წ. N84 განცხადება, ქ. თბილისში, ქინძმარაულის ქ. N5-7-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული 188.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.19.34.003.129) განთავსებული შენობა-ნაგებობის მომიჯნავედ ქინძმარაულის ქ. N5-7-ში მდებარე შპს „ისეკო“-ს საკუთრებაში არსებულ 135.0 კვ.მ მიწის ნაკვთზე (ს/კ N01.19.34.003.147) განთავსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟზე თანხმობის გაცემის შესახებ.

გაცნობებთ, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 16.09.2015წ. N005446515 დასკვნის საფუძველზე, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი ქ. თბილისში, ქინძმარაულის ქ. N5-7-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული 188.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.19.34.003.129) განთავსებული შენობა-ნაგებობის მომიჯნავედ, შპს „ისეკო“-ს საკუთრებაში არსებულ ქინძმარაულის ქ. N5-7-ში მდებარე 135.0 კვ.მ მიწის ნაკვთზე (ს/კ N01.19.34.003.147) განხორციელდეს მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი (გაეთიანებული ამონაწერის მიხედვით (ს/კ N01.19.34.003.154) ქინძმარაულის ქ. / ქინძმარაულის ქ. / მოსკოვის გამზ. N11/5-7/38-ში მდებარე შპს „ისეკო“-ს საკუთრებაში არსებულ 8437.0 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული N11 და N12 შენობა-ნაგებობები), სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მოხედვით და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ შპს ‘ისეკო“-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში ასახული პირობების დაცვით დემონტაჟის შედეგად სახელმწიფოს არ უნდა წარმოეშვას რაიმე სახის ვალდებულება.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარე

ეკატერინე სისაური